ᲨᲘᲠᲐ, 8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1917 Წ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ:
თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲝᲚᲓᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 6.

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐ�პ.

ᲔᲛᲔᲠᲯᲔᲚᲘ

№ 2

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1917

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲔᲛᲛᲐᲙᲘ—ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘ; ᲓᲘᲐ—ᲓᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲪᲠᲚᲘᲐ; ᲗᲐᲠᲐᲑᲘ—ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲥᲘᲜ; ᲙᲕᲐᲚᲘ—ᲨᲐᲠᲐᲓᲐ; ᲘᲠ. ᲗᲝᲤᲐᲫᲔ—ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘ; ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ—Ს ᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲨᲐᲨ; Ხ. ᲒᲐᲠᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ—ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲯᲝᲠᲘ; ᲫᲐᲛᲘᲐ—ᲡᲐᲠᲗᲝᲗ ᲡᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲜᲘ; ᲡᲐᲐᲮᲚᲚᲝ ᲛᲘᲚᲝᲙᲕᲔᲑᲘ, ᲛᲝᲬᲣᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲨᲘ



ᲓᲘᲐ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ. Ბ-ᲜᲝ ᲔᲥᲘᲛᲝ, ᲐᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲙᲝᲜᲙᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲜᲣᲒᲔᲨᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ.

ᲔᲥᲘᲛᲘ. ᲡᲘᲪᲮᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ?

ᲓᲘᲐ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ.

ᲔᲥᲘᲛᲘ. ᲐᲰᲐᲐ... ᲛᲐᲨ ᲨᲔᲣᲨᲐᲰᲣᲜᲔᲗ 500 ᲒᲠᲐᲛᲘ ᲐᲙᲣᲐ ᲓᲘᲡᲢᲘᲚᲘᲢᲐ, ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲓᲘᲐ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲡᲐᲥᲘᲠᲝ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲚᲘ, ᲘᲛᲔᲓᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲗ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲐ

Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘ

მეცნიერთა გარდმოცემას
თუ ჩვენ მტკიცეთ დავეყრდნობით,
(არა მარტო ცბიერებით,
არა მარტო გარეგნობით)
გავიგებთ, რომ უწინ დროში
კაცი სულაც არ ყოფილა
და მათ ნაცვლად თავკაცობდა
ან ორანგი, ან გორილა.

ბინადრობდენ უღრან ტყეში
ხეებზე და კლდეთა ძირში
საკბილო რაც მოხვდებოდათ
ყის იკრავდენ ყველას პირში.
სახსნილო და სამარხვოსი
არ იცოდენ მათ გარჩევა
(ღვთის მორწმუნე ამა გვარი
დღესაც ნაკლებ მოგვეძევა.)
სპამდენ უმათ, უხარშავათ,
არ ანთებდენ პლიტას. ბუხარს,
(არ მისდევდა იგი ხალხი
საქმეს ამგვარ შესაწუხარს)
ზოგჯერ... სიზრდო თუ იკლებდა
სპამდენ მოძმეს (უფრო სნეულს)
ან მეზობელ ტომის ხალხსა
მრძოლისა და ჩხუბში ძლეულს.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ,
ეს ამბავი გახლდათ ძველათ...
დღეს აქ სიტყვამ მოიტანა,
თორემ არცა ღირს სათქმელათ.

იმ წინაპართ შემკვიდრენი,
(დღეს რომ ხალხსა ვხედავთ ქვეყნათ)
წინ წავიდენ ცხოვრებაში,
(გთხოვთ, ნუ ჩამომართმევთ კვეხნათ.)
დღეს ვერ ნახავთ მაგალითსა
კაცი ხეზედ ბინადრობდეს,
ან აშკარად (შესაჯმელათ)
მოძმე მოძმეს ტყავს აძრობდეს,
დღეს, კულტურის ზეგავლენით,
ინსტიქტს ᲰᲔᲪᲣᲠᲘᲡ განვეყარეთ
და მის ნაცვლად, ცხოვრებაში,
ჩვენ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ დავემყარეთ,
მოძმეს სნეულს (ან თუ ძლეულს)
ჩვენ როდი ვაკლავთ ქვეყანა
არამედ მის განსაკურნად
ექიმები მოგვყავს ხელათ.
გავუშინჯავთ მუსვე სიცხეს,
მაჯის ცემას, (ანუ პულსსა)
რომ გავიგოთ რა სჭირია
ავათმყოფის ფილტვს, ან გულსა.
მოვუყენებთ სადარაჯოთ
მოწყალების ძმებს თუ დებსა
და ვამყარებთ მათ შრომაზე
ჩვენ ჩვენს კეთილ იმედებსა.

ოჰ, არ მომწონს პირფერობა,
და არც მიყვარს ქება პირში,
მაგრამ მოგცეს ᲯᲝᲯᲮᲝᲠᲗᲛᲐ
თქვენ თფილისი გასაპირში
საითაც არ გაიხედავთ:
სამკურნალო და „ბალნიცა“
პირისუფლად მოვლენილნი
შიგა ვაენი და ქალნიცა.
შეხვალ სენით დავრდომილი,
ვაგლახ სასო წარნაკვეცი,
(თუ გზაში არ აგიხირდა
ვინმე ბრიყვი მატრაკვეცი
და გული არ აგიცრუა
თქვენ იქაურ პირობებზე,
ვითომც ხალხი უპატრონოთ
იქ ეყაროს ჭილობებზე).
შეხვალთ, ნახავთ მუნ სანახავს
წინა დროში არ ნახულებს...
აურაცხელს თქვენებრ ტანჯულს
და თქვენსავით დაჩაგრულებს,
იქით კვნესა, აქეთ კვნესა,
ბედის წყევლა, ბედის კრულვა
(თქვენ კი ჰხარობთ, რომ სიკვდილმა
სხვა ადგილს არ დაგიგულვა.)

თფილისისა მოქალაქეს
სიამაყეთ ესც ჰყოფნის,
რომ ხელთა აქეს გასაღები
„ყოფნისა, თუ არა ყოფნის“.

შემსვლელს იქა გაეხსნება
სანახავი სანეტარო,
ულეველი: მზრუნველობის
და სიამის უხვი წყარო.
ᲓᲓᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ სიყვარულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ საფლავი არე ვრცელი
და მიგელის საოცნებო
რკინის ცივი სარეცელი.
ვინ არ იცის, იქით წამსვლელს
დაბრუნებულს ვხედავთ ძვირად,
ან ცოცხალი ვინ დასტოვებს
იმ სამოთხეს ქვეყნის პირად?

ეშმაკი.

—

თუ ამ ლექსში გამოთქმული
ვისმე ეჯავრს დაუბადებს,
ვსთხოვ გულდასმით გადახედოს
ამა ნომრის მან სურათებს.
იქ აშკარათ დაგანახვებს
მხატვრის ნიჭი და ხელობა,
როგორია ამ ქვეყნიურ
სამოთხეში მზრუნველობა.

—ძი.

ცხელი ბუზარი.

დასაძცევი კლასეგის გრალია

(გურიის ცხოვრებიდან)

— მობრძანდი ბატონო, მობრძანდი ჩემო ფეფიკო. ხომ მშვიდობაა, ხომ არ გაგამჯავრა ვინმემ ასე იალონზე რომ ამდგარხარ?

ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს ჩემო ანუსი. ჩემი მშვიდობა 'და ჩემი კარგათ ყოფნა კაი შვილია. ერთ დროში მაგისთანაი ფეხდუუბანელი დედა-კაცი კუდზე ფეხს ვერ დამაბიჯებდა მარა ახლა რაც უნდა იმას შობა. ვითომ რავა არ უნდა დეიქცეს ქვეყანა რომ გარჯდა გამოქცეული ჯეგეშეილის შვილიც ჩემი რჩევის და ლაპარაკის წინააღმდეგია. დაგელოცა ღმერთო სახელი... დააკეთეს ბატონო აი რაცხა კლასებია იგენს წიკიდა ცეცხლი. ეტრაშუნება ბატონო შით თორმეტი წლის დედაკაცი, ეტრაშუნება და მერე შენ რა იცით რაა აქიმობა და რაა გამოლოცვაო. არა მისმა სიცოცხლემ მისი ანტონაი ფერშალი მიუტოლოს ცხონებულ მელიქაძის მალაზონს. თუ აფერი ვიცით ერთი ჩვენდონი გასძლოს და ქე ნახავს. ან და იმის ქმარს რომ ხალამპრიას მისი გამობეინებული ბიჭი მიატოლოს, რომ გადმოუგდია გოჟო ჯირეყვალოს ნაპეგრეგ ნაზარდასავით.

გუშხამ ბატონო რაცხა შინ ხალხმა წითლათ გამოყარა. რამდენი მე ცხონებული მელიქაძის მალაზონი ვინატრე იმდენი სიკეთე გაქ შენც და მეც ნუ გენაღლება, მარა ერც მაკოიას დეიწუნებს კაცი გამოლოცაში და საყმაწვილოს წამალი ხომ მამაო ჩვენოსავით იკის. უთხარი იმ ჩემ გამაკეთებელ რძალს, პელაკიას, ოი იმისგამომთხოველს უუდღეგ ღმერთო ოჯახში საშინელი, წაველ მაკოიასთან და ან თვითონ მეეიყვან თვარა და ეგება წამალი გამომატანოს მეთქი. იმუტიბრომ სიცილი დამაყარა: მაგრამ ბატონო გამოლოცვა რას უშველებს საყმაწვილო კი არა ცივება სპირსო და მაინ და მაინც ჭიჭიკო დოხტურთან უნდა წეეიდე და ვაჩვენოვო. ახლა ოზრუგეთში ჩატრიხინება უნდა და ვითომ მალანაიზა მიდის, ეიოლია იგი ჩემი ჭკუის კოლოფი ხალაპრეიც და ხვალ ეპირობენ წასვლას.

ჭიჭიკოს აჩვენოს თვარა უცფათ არ მურჩინოს. იგი ჭიჭიკო არ იყო შარშან ფეხამოდებული პიწკიეი ჩახმახაძე რომ მიჰგვარეს: ამას მუხლის ქვირისთავი აქ ქვით გატკლეცილიო, პაწაი მუხლს ქვეით დიდ ძვალსაც ნასული აქვსო და ფეხი მუხლში უნდა მოვსჭრაო.

პიწკიეი და მისი ჭირისუფალი მაგას რავი დაანებებდენ. რავა საყასპოზე ასაჩარიქებლათ კი არ მიუყვანიან მოსარჩენათ მუუყვანეს თვარა. წამეიყვანეს ბატონო შინ. რაცხა შინაურათ ქეც უაქიმეს ვითომ მარა მოგეჩრიანო რომ უთხრეს იმის ზაფრაზე ისთე გადუუბრუნდა გული რომ ფეხმა ფითელი ქარი მეიძია და ამ მგელსავით ყაბახს გუუსიდა ფეხი, მთელი ქვირე აკოვლა და გადაბრუნდა და ქე მოკტა.

ცხონებული როსტომაი არობელიძე რომ ყოფილიყო ცოცხალი იმას ბატონო ოცდაათი კლასი არ გამუუარია მარა ქვირისთავსაც გუუმთელებდა, და ძვალსაც და ახლა პიწკიეი ისევ პიწკიეი იქნებოდა. მაინც ნამეტარი ჭინკლიანი კაცი ქე იყო და ნამეტარი ღვინის სმაი და ჩხუბი უყვარდა საცოდავს. ხო და ახლა ამისთანა დოხტურს მუუყვანენ შენ ბაღანი მოსარჩენათ.

რამდენი ვეხვეწე მელიქაძის მალაზონს იმ სულ წაწყმენდილს აღარა, მასწავლე მაილოცვა მეთქი: რა არ ვპირდი, ბარე თუთხმეტი შაური ფულათ ფული ვაძლიე, მარა არ ქნა: სხვაი რომ ისტავლის ძალა დიეკარგებაო. მარტო ბოლო და თავი კი ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი. ხმა მაღლა ჩიოდა. ლოცვის დროს ნახშირს შეტანდა, დადგმდა ძელზე სანამ ნახშირი კარგად არ დეინაყებოდა დანის შაეს ტარს ურტყამდა და ლოცვას ამბობდა: „მამისა ძისა, სულისა წმინდისა“, მერე ჩუმათ ამბობდა და ბოლოს: „რაა მისი წამალი? პირპალოზი მარგატელი და შავტარიანი დანაო“. მიერე გადუუბერავდა სულს დაფშნილ ნახშირს

მერე ეიღებდა აქლემის ყელის ნაკიდურაის გრძელ სარტყელს, ბაღანას წელზე ოთხჯელ შამოარტყამდა. გახსნიდა და გაკეცდა შვაზედ და ახლა ორჯერ შამოსტობოდა, გაკეცდა კიდევ შვაზე და ერთი გზობა მოკლე თუ გამევადოდა წელზე მაშინ უემურის წამალს მისცემდა თვარა მარტო მეხის ნატეხს ჯაოზს, ვორ დასალევს, ჯოჯოხეთის შურდულის ნატეხს, დეღალ მამალ ასუხათის და კიდო რაცხა სამნაირი ქვაი ქონდა, წითელი, ლურჯი და ქარვის ფერი. ქარვის ფერი ელუსამეოიდანაა მოტანილიო ამბობდენ. აგენს ყველას ერთ ვერმუდის ბოთლ წყალში გალესავდა, ნახევარი საათი აჯანჯღალებდა და ორ ან სამ ბაზათ მოგცემდა. იმისთანა ტკბილი და გემრიელი სასნელი იყო რომ ბაღანაი სიხარულით სვამდა და თუ მოსარჩენი იყო ქე რჩებოდა სკვინჩასაკით. ვითამ თუ ეშმერთს იქონეი წასაყვანათ უნდა რავა შენ წუუდგები წინ თუ? ახლა ბატონო აგი ცივებაა და ქინაი დაალევიო. დეიწენწე აგერ ხუთი წელიწადია ენაზე და ახლაც ტანში გამაყრელებს იმისიმწარე იყო. ბაღანაი კარგათაც რომ იყოს მარტუაი იმის დალევა მოკლავს, სხვაი რათ უნდა. ველაპარაკე ბატონო ყველაფერი იმ ჩემ სტუდენტ რძალს მარა შენ ძველებური საქმე იკი ბატონო და ახალი მე უკეთესათ ვიციო. ძალიანი იკის მისმა თავის გახეთქამ.

გუშინის წინ, ლაქიათ რომ არის, მისიპირიმე ჩემი მალხაზეი იმის წიგნი მომივიდა. ნახევანში თუ რა ქვაი, სულ მავიწყდება მისი სახელი, რაცხა სხვაი დეეთქმია ოჯახდაქცეულებს რავა სახელი არ იშონებოდა თუ? წამიკითხე მეთქი პელაკიას უთხარი. დეიწყო ბატონო ელაყნა-ელაყნა, ლობიეი უხარჩავი დაგვრჩა და ყანდან მოსულმა ხალამპრიამ კალამ გარეთ გამოგვყარა. საღამომდი იმის კითხვას მოუნდა და ნახევარი ვერც ნან გეგო და ვერც მე ვეფერი მივხვდი, რაცხა ობრაციეთ გახსნეს და იმაში ჩვეეწერეო მწევრათო. რავა მწევრი ხომ ძალლია. რაცხა სხვაი ეწერა. ... მან ვერ წეიკითხა. შვილო ჩემი მალხაზეიი ამ ჩვენ ორ კლასიან შკოლაში რომ სწავლობდა ბარე შვიდი წელიწადი იყო კლასში ისე შუუყვარდა მასწავლებელს და მასაც ერთმანეთი. ნენავ კიდევ გავაგრძელეფო მარა სა იყო შეძლება? იგი ისეთ გლახათ მეიწერდა რომ გლახა წასაკითხავი იყოს? მარა ამ ჩემმა მომნელებელმა არიკის ბატონო აფერი. აი გიდი ფეფიკო ზენგილაძის ქალო ამიზა მიგცა მამა ჩემმა ამ ჩიბოტლაკიეის შვილს რომ ამ დღეში ჩავარდნილიყავი?! მე მაინც მინდა ჩემო ანუსი მაკოიეის წამალი ჩუმათაი დავალევიო ბაღანას. ახლა იქინეი მივალ და იმიზა გამევარე ეგება ვერმუდის ბოთლი გაქ რომ მათხუო ელანძე. მარა არ დამკლა კაცი რძალთან არ გამამბილო ჩემო ანუსი, არა ბატონო ყოლიფერი ამ დასაქცევი კლასების ბრალია. არ იკეო. თუ არ ვიცი ერთი ვმინჯოთ მე გამუაცხოფ უკეთესს ხაპაპურებს თუ იგი?

ლია.

საბალღლო მილოცვები

რკინ. გზის მთავარ სახელოსნოს

როცა იყავ ახალ გზრდა
ვერ გჯობნიდა ვეღარც ერთი,
მაგრამ დღეს კი გაყინულხარ
გაგწყრომია თითქოს ღმერთი.

ნაძალადევს

მოქმედება მზრუნველობით
რომ დაგძლია ავარ-კინტომ
მოძალადეს და ყრუ უბანს
გეძახიან ალბათ მიტომ.

ნაძალადევის თეატრს

შენაც თეატრს გეძახიან,
მაგრამ სცდება მაგის მთქმელი,
შენ ხარ ჩხუბის და ვინების
კედელი და საძირკველი.

ქამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურია

ქ. ოზურგეთის ხმოსნებს.

ვინც გაგათეთრა, იმავე
ხელებით გაიხუხვინთ
თუ საქმეს ზურგი აქციეთ,
თავი არ შეიწუხეთ.

ოზურგეთის ექიმებს

დიაგნოზს თქვენი პირისას
ეანეც მოიწონებსა,
მაგრამ რა ვუთხრა მეეტლეს,
რა ვუყოთ ფაიტონებსა?

გურიის სოფლის მასწავლებლებს

იგი ალთას აგი ბალთას!
არ გეგონოთ მეთქვას ჭორი.
სოფლის სკოლის მოწაფისა
ვინა სთქვა რეპეტიტორი?!

პირველ დაწყებითი უმაღ. სასწ. ინსპ. და მასწ.

„შერეული“ სკოლა იქნებ კარგია
აღმზრდელი კი ამგვარი არ გვარგია.

გურულ მღვდლებს

თუ არა გსურთ დრამაო,
დაივიწყეთ დრამაო.

გურულ რეაქციონერებს

ვაი რა კარგი საჩინო
რა ავათ მიგიმჩნიესო
„მაცხოვნებელი“ გურიის
წაწყმენდით მიგიჩნიესო.
(მოგშივდა პური ითხოვე—
ქურჩენა შეგაძლიესო).

გურიის სამეურნეო საზოგადოებას

ერთი წელი, ეგზომ ძნელი
მარტში გამთავდებაო,
აპრილში სკოლა გავხსენი
(ეშმაკი ეთავდებაო)
(კრებაც კი არ მოვიწვეთ
წევრები შეწუხდებაო).

წვრილი კრედიტის საზოგ. წევრებს

„სესხი მიდის მიიკონის—
მოდის მოიტირისაო“
(მადლი ეშმაკს ათში რვა თუ
გამყოლია პირისაო).

ოზურგეთის თავისუფალი ცეცხლის მეკრძალ. საზ.

წევრები „დელიყანდი“ გყავს
აქტიურ—პასიურია,
ბრანდ მეისტერათ ქებული
ფოტოგრაფი დემურია.
ვერ გამიგია რას უცდით'
დაიწყეთ მოქმედებაო:
მესამეთ დაიწვა ოზურგეთს
ხომ იცით არ იცდებაო.

გურულ ქალებს

ერთ გუდა პუდრს ამ საახალწლო საჩუქრად
ის გურული ქალი მიიღებს, რომელიც მეზობლისას
„ერთ წაწ“ მირბენს, ნახევარი დღე იქ დარჩება
და უკან დაბრუნებისას ჭიშკართან ნახევარ საათს
კიდევ არ იმუსაიფებს.

გურულ ვაჭრებს

ძვირათ ნაყიდი იაფათ
გავყიდო, მნახეთ გიჟი მე?
იაფათ ნაყიდს ვაძვირებ
სახლებიც წამოვიკიმე.

ფერშლებს

ექიმათ ხომ ქებულნი ხართ
ყასაბათ კი უკეთესი
ამას ჩემობთ თქვენ სუყველა
გარდა დიდი ექვთიმესი.

აფთიაქრებს

წამალი თუ აღარა გაქვთ
„აკვა“ და ჭა ხომ მევრია
ლესეთ, ჭყიდეთ, აშპეთ ტყავი
მედიცინის შედეგრია!

ხიდისთავს

ხიდისთავო ერთხელ თავო,
ახლა რა დაგემართაო.

ჩოხატაურს

„ჩოხატაურო დაბაო“
ბევრი გვხდა ჭირი, დაგვაო
ივასიუკის შემდეგა
აღარ გელირსა დაგვაო.

(ნასესხები).

ლანჩხუთს

სკოლებით ხონს წაეტოლე,
მოდებით კი პარიესაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი შრომობს, ქალი ფლანგავს
ლაგამი უნდა გიესაო.

ჩემს თავს

აქაც, იქაც, ყველგან—ალსად
(სწორეთ სოლომონის მსგავსად)
მიდის მოდის გაბრიელი
არავინ ჰყავს მადლიერი.

პეტნა.

ბ ა ლ ა ხ ა ნ ა

ახალ წელიწადს გილოცავთ
მარად კეთილო ბატონო
„გრუზინსკოელთა“ შორისა
იასონ ჩვენო პატრონო.

ტანის სიგრძესთან სიმშვიდე
მოთმინებაც გაქვს გრძელია
უვიცი მუშის შეცდომებს
სჭვრეტ მშვიდი და სულგრძელია

ეგრე ტკბილათ ვერ ვუმღერებთ
ზოგსა თქვენსა „პრიკაშჩიკებს“
ვისი ქცევა და საქმენი
შენის უფრო „იაშჩიკებს“

კიდევ უფრო გაგაკეთოს
ღმერთმა მოგცეს დიდი დღენი
ცოტა განზე მიიხედეთ
ეგერ რომ სდგას თეთრი ცხენი

ფეხებს ისე მიაბიჯეებს
თითქოს ჩენი სოფლის ბრძენი
ორივ თვალი დაფსებია
თუმც ბრალი არ არის თქვენი

შეაბრალე ვისაც ჯერ არს
ერთი მადლი კიდევ ქენი.
ნამსახური მრავალი აქვს
წლებზე წლები დანადენი
და პენსიის მინიჭებით
დღე დაუტკბეთ დანარჩენი.

ვის გაუბედავს მილოცვას
როდშილდ ნობელის ქარხანას?

ჩვენ ისევ ჩვენსას: გულოკლავნ,
ნახევრათ დაშლილ ჩარხანას

პატრონი ყველას დიდი ჰყავს
თუმც ფირმები არ არს დიდი.
(ხელფასის აუწევლობაც
ალბათ მუშის თუა რიდი!)

მეორეთ შენ მოგილოცავ
ჭების მთხრელსა „შტანგას“ პატრონს
რომ ვახტის გამრავლებაში
არ წაბაძე ზოგ ცეტ ბატონს,
და ძველებურ ორი ვახტით
ცოტა ფასით გვაჯშევ მაწონს.

ეხლა დარიალს უსურვოთ
წმინდა ბასილის წყალობა
და ოთხ მანეთათ ის გვითხრას
სად დავაყენოთ სახლობა?
შენი კენესამე, ბატონო,
ჩვენ თვითონ მოგცემთ ექვსს მანეთს
ოთახი ერქვას არ, დავსდევთ
არც ცეცხლს, არც წყალს და არც სანათს.

მეოთხეთ შენი რიგია,
(თუმც გულს შამოუყრი მნახველს)
დაეხსენი ნუღარ არცხვენ
მშვენიერი კუთხის სახელს,
გულით გისურვებთ გასწორდე
ან აგრე სვლა მოგცემს რა ხელს!
მე შენ გამგეს ვენაცვალე
გვაჯშევს სილას მაგარს და ცხელს.

ერთიც წერწეტ მანდილოსანს
მიულოცოთ ჩვენ იმ დამკას.
თუმცა ჩვენსას არ გვაგონებს
(უფრო მოჰგავს პარიჟანკას)
— მოგილოცავთ ქალბატონო...
— ერთი გვარქვით ვინა გკითხა?...
მივხედი ყვავებრ ფარშევანგის
კუდის სურვილს დაესიცხა.

ფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პოლიტიკა დუქნის წინ“

(ანუ სომეხ ქართველთა ურთიერთობა და სამეგრელოს სოფლელნი)

ნიკოლამ ერთს გაზეთში რაღაცები ამოიკითხა სომეხთა ავტონომიის შესახებ. მას არ გაეგებოდა რას ნიშნავდა სიტყვა „ავტონომია“, მაგრამ ვიღაცამ აუხსნა, და გაიგო ნიკოლამ, რომ სომხები „დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოელიან“-ო. ისიც გაიგო, რომ სახელმწიფო დუშაში შესაძლებელი დიდი უმრავლესობა ამისი მომხრე შეიქნესო. მაგრამ... ამ შემთხვევას არავითარი კვალი არ დაუტოვებია მაშინ მისს გონებაში.

გაიარა მას შემდეგ რამოდენიმე ხანმა და ნიკოლას ხელმეორეთ მოუხდა ზუგდიდში ყოფნა. იმას ხელახლად ჩაუვარდა ხელში ერთი გაზეთი, რომლის მეთაურში ბევრი ეაი-ვაგლახი იყო ამტყდარი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ. გაზეთი თავის მეთაურში თავ-გამოდებით ილაშქრებდა სომეხთა წინაღმდეგ, რომელნიც „ცდილობენ დამყარონ ავტონომია საქართველოს ტერიტორიაზე“...

...„რა არის ეს თუ არა დაპყრობა“!—ათავებდა გაზეთი თავისს მეთაურს, მთელი წერილიდან ნიკოლამ ასეთი დასკვნა გამოიტანა: სომხები ებრძვიან თურმე ქართველებს და სცდილობენ მათ დაპყრობასო.

მაგრამ ბრძოლა უომრად და დაპყრობა უიარაღოთ, საფიქრებელიც თუ იქნებოდა—რასაკვირველია—არ წარმოედგინა გულმართალ ნიკოლას: „თუ ნებავთ ჩვენი დაპყრობა, ომსაც გამოგვიცხადებენ, უეჭველია, თორემ ასე რა კალნინა ბრძოლა“-ო—ფიქრობდა ნიკოლა.—მაგრამ როგორ შეუძლიან სომხებს ომი, რომ არა აქვთ საკუთარი სახელმწიფო!—გაუკვირდა ესეც თავში ნიკოლას—გამიგონია, ვისაც საკუთარი სახელმწიფო არა აქვს, ომის დაწყებაც არ შეუძლიაო... მარა გაზეთში დაწერილი აბა ტყული იქნებოდა!.. თუ გაზეთში დაწერეს, ალბათ ასეა... „ავტონომია“, – თუ რაღაცას რომ მოელოდენ სომხები—დუმაც იმისი მომხრეაო რომ სთქვეს... ალბათ მიუცია იგი... და მაშ უთუოდ უფლებაც ექნებათ გამოგვიცხადონ ომი!—გადასწყვიტა ასე ნიკოლამ და სოფელში ახალ ამბავთ ჩამოიტანა:

— სომხებმა ომი [illegible] ჩვენს ქვეყანას.. დუმასაც ნება დაერთვა და... დღესაც ან ხვალ ომიც გამოცხადდებიაო...

და პირველ ქაფ მორეული ნიკოლა, ენებით აღსავსე მეთაურის სიტყვებით ანიავებდა სომეხთა ცუდ განწირახვას: მაგრამ... წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა მაყურებლები ეკვით და ირონიით შეხვდენ მისს დაღდისს!

— ბიჭო სხვებმა გაიკირა საქმე, თორემ სომეხი გამირონგავს და კიდეც გავრონგავ!—სთქვა მეტადურად ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც სომეხთა ხსენებაზე მოაგონდა მის-მიერ გალახული „პრისტავი“ ზუგდიდში—ეს ერთად-ერთი სომეხი, რომელიც მას ენახა.

— თუ მართალია გამოგვიცხადეს სომხებმა ომი, ამ ჩვენი სოტნის უფროსათ შენ აგირჩევენ—უთხრა ნიკოლას ხუმრობით მეორე ყმაწვილმა და უჩვენა დუქნის წინ თავმოყრილ მებრძოლებზე, რომელთაც, თავის მხრით მორთეს ხარხარი.

ეს სახუმრო ამბავი კი არაა, მაგრამ... რა გასაკვირალია, რომ ყოველს ბრიყვსა და უგუნურს არ გაეგებოდეს ამის შინაშენელობა“!—განიმარტა ნიკოლამ მეთაურის სიტყვები, რომელთა პასუხად კი სილა გაუშალა მას, მისმა „მოკამთეგ.“

ატყდა მაშინ ერთი ჩოჩქოლი, მაგრამ მოსხუბარნი მალე გაეხავეს; მხოლოდ მას შემდეგ—რაც მობეტეს ნიკოლა, დუქნის წინ იგი ისე ვერ გიგლიდა, რომ სოფლის ბაღნებს არ მიელოცოთ მისთვის „სოტნის უფროსობა“. ბრაზმორეული ნიკოლა ყოველთან უცენზურო სიტყვებით ჰგმობდა მაშინ მოზარდ თაობის უკულტურობას.

— შენისთანა განათლებულ კიცს აბა როდი მოეწონება ჩვენი ქცევა—უპასუხბდენ სიცილით ბაღნები. ამით უფრო გაცეცხლებული ნიკოლა დაერეოდა ბაღნებს ჯოხით.

მიდიოდა ასე დრო: ვინ იცის რამდენი ეაი-ვაგლახი გამოიარა ნიკოლამ მეზობლებისაგან, მაგრამ გული მაინც არ გაუტეხია.

ის ეხლაც გატაცებულია და ამტკიცებს, რომ სომეხ-ქართველთა ომი, რომელიც დღეს, ან ხვალ გამოცხადდება, უფრო მნიშვნელოვანი იქნება ვიდრე ევროპის ომი. და ფიცით თავს იხეთქავს: „ჩვენსა და სომხების საქმეს უფრო მეტი ალაგი უჭირავს გაზეთში, ვიდრე ევროპის ომის ამბებსო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის საკვამთმყოფელოში

როგორ იღებენ ავათმყოფები ცივს ვანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის საავადმყოფოებში



ქირურგიული განყოფილება.



ებილის საექიმო კაბინეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ის ეხლა მსჯელობს დამშვიდებულათ ხმას ხან სრულიად მიამკვდარებს და ცდილობს ყოველს მ..ხვრა-მოხვრას მისცეს რაღაცნაირი საიდუმლოების ხასიათი.

ბალნეზმა თუ გასცინეს—ის ჯოხით არ გამოგკიდება ძველებურათ, უცენზურო სიტყვებსაც არ გააყოლებს; ის მხოლოდ გაახელს ფარეთოთ თავისს შავს და ღრმა თვალებს, მიიღებს მედიდურ სახეს და იმუქრება:—დამჯერეთ სჯობია მაშინ ცხონებამ, თორემ სომხებს მოვემზრობი და ცუდად წავა მაშინ თქვენი საქმეო.

ნიკოლა ერთად-ერთი კაცია, რომელმაც იცის კითხვა ჩვენს სოფელში. სანაძლოს დავდებ, რომ ისიც გაგიქდეს!

მართალს ამბობენ სოფელელები: სწავლა კაცს აგიყვანსო...

თარაბარ.

შარადა

კვლავ სიტყვებს ვეძებ შაირად —
რაც ვარგა მოსახმარადა,
იქნება რამე ნაირად
ერთიც დავსწერო შარადა.

და ჩვენს ბეშმარიტ ქართველებს
მამულის „ღვიძლსა შვილებსა“
მისსავე „ერთგულ დამცველებს“
ჭორებში გამოცდილებსა,

ვარქვა სახელი რაიც მათ
ოდნავც ვერ გაკვირებსა
რაის დიპლომიც ჩაბარდათ
ცნობილსა ხონელ გმირებსა.

ამ საქმისათვის ცოტა შორს
მოგვიწევს გასეირნება,
იქ ჩვენ სიტყვებსა ვნახავთ ორს
რაიც საკმაო იქნება.

ორივეს დავსწერთ შეს ერთად
მხოლოდ ასოებს წინასა
რაგინდ გასპირდეს ჩვენ ვერსად
მათ ვერ დაუთმობთ ბინასა.

—

სლავიანების გაზეთებიდან

თქვენ იმათ ნახავთ სიაში
სკოვორობენ რუს და ტევტონთა
ნომარ გალიციაში.

რუსებს მიუგავთ სახელი
ტომით არიან ერთია,
(ამ სახელს ესტეკოთ ჩვენ ხელი
სხვას ავუაროთ გვერდია.)

აწ უკან ჩამოვიტოვოთ
ევროპის არე მარეა,
სხვაგან ვეძებთ ვიპოვოთ
რაც ჩვენი მოსახმარია.

ვნახოთ ქვეყანა კრეზების
ატლანტიკოსის გაღმითა,
(ტრედნოუტს გავყვეთ ეგების
ვერარა გვავნონ ნაღმითა)

ქვეყანა სადაც რომ ომის
ჯერ ვერა სწვდება ცეცხლია
სადაც ბროვდება ევროპის
ურიცხვი ოქრო-ვერცხლია.

იქ კაცი არის, მაღალი—
ბუნება-აზრის მქონია
მრავალი ახალი ახალი
მანქანის გამომგონია.

როს შევაერთებთ ამის გვარს
და მას რაც ვპოვეთ წინადა
დავსტოვებთ იმა ქვეყნის ზღვარს
წამოვალთ არხეინადა.

შინ უკეთ წამოისვლება
რომ მოგვაქ შენაძენია
და მით სრულ ყოფილ ოფვლება
„ობერაცია“ ჩვენია.

ძვანი.

როსტომი

(ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა,
იყო როსტომ ფალავანი:
გონიერი, ღონიერი,
სწრაფი და ძალ-გულოვანი.
ერთხელ როსტომ უცხოეთში
საპეიდოთ გამემგზავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გზათ მავალს უცხო ვინმე
შეეხეჩა, შეეყარა.
— ვინ ბრძანდებით?—დაეკითხა,
გაუწოდა ძმურათ ხელი.
— მე როსტომ ვარ,—მან მიუგო,—
ფალავანი უძლეველი.
— ფალავანი?! მაშ გამოდი
დამეჭიდე, შინ ჯე ლონე!
ეჭიდავეს. და როსტომი
ძირს დაეცა თავმომწონე.
როსტომს გული მოუვიდა.
შეაგინა, უწყო ღრენა,
და უცნობიც გულმოსული
როსტომს უკან დაედევნა.
მირბის როსტომ... გზაზე ბედათ
ვიღაც კაცი მიწას ხნავდა...
ახოვანის ტანადობით
ის გოლიათ ს ჩამოგავდა.
დაუჩოქა, შეეხვეწა:
— თუ ღმერთი გწამს მიშველეო,
კაცი მომდევს მოსაკლავად,
დამიფარე, დამმალეო.
შეებრალა მხვნელს როსტომი,
შეტრიალდა როგორც ჯარა:
როსტომ ხელში აიყვანა,
ჩოხის კალთა წააფარა.
მყის უცნობიც იქვე გაჩნდა.
ეკითხება გუთნის დედას:
— აქეთ კაცი გამომექცა,
მარქვი, ხომ არ შეგიხედავს?
— არ მინახავს, უთხრა იმან
და ხარს შოლტი მოუღერა.
— შენ იცი და ნუ მიმალავ! —
მას მდევარმა შეუყვირა.
— დაიკარგე! სალახანავ,
ნუ მაბრაზებ, თორემ შენა
მწვავე სახრე მოგხვდეს ზურგზე
ვერ დასთვალო იმოდენა.
ეს უთხრა და მეხნაკრავი
შეტრიალდა მყის მდევარი;
მაგრამ დახე გოლიათსაც
თავს დაატყდა შიშისზარი:
— ვაჰმე, დახეთ იმ უბედურს!
იმ სიცოცხლე მოსასწრაფავს.
ამ ჩხუბსა და ბრძოლაში
კაცი კიდეც ჩამიყლაპავს!
თურმე ამა გოლიათსა
ჩატეხილი ჰქონდა კბილი,
და იქიდან როსტომ ყვირის:
— მე აქა ვარ ჩასობილი.
იგი მყისვე ამოაძვრეს.
უთხრეს: ძლიერ მეხარება,
რომ ქრისტიანთ სისხლისაგან
არ მივიღე ზიარება.
შემდეგ როსტომ ეუბნება:
— მითხარ, მამი, შენ ეს კბილი
როდისა, ან რა მიზეზითა
გაქვს უდროოთ ჩატეხილი?!
მან მიუგო:—ჩვენ თორმეტი
ძმა ვიყავით მძარცველები,
ტყედ ვსცხოვრობდით, ცა საბნათ და
მიწა იყო ჩვენი ლები.
ერთხელ, მთაში ქეჯ-ელვამ,
სეტყვამ, წვიმამ, ქარიშხალმა
მოგვისწრო და შეგვაძრწუნა
ჩვენ ყველანი შიშის ძალმა.
მივიარეთ, მოვიარეთ,
ვერსად ვპოვეთ იქ კარავი.
მხოლოდ ბოლოს მთისა ძირას
ვნახეთ ხმელი კაცის თავი...
ჩვენ, თორმეტი ცხენოსანი,
შიგ შეველით, გვეხალვათა,
ვიდრე წვიმა არ გადიღო,
და ცამაც არ იჩიატა.
სწორეთ იმ დროს, იქ მეცხვარემ
გამორეკა ცხვრები ველათ;
თვით სალამურს ჩაუბერა
მწარე ფიქრთა გასაოთველათ.
საიდლანაც გაჩნდა მგელი,
დაერია ცხვრებს საკლავად,
და მეცხვარეც ხან ხეს გლეჯდა,
და ხან კლდეებს დასაკრავად.
და რაკი, რომ სამაგელი
ვერაფრით ვერ შეაშინა,
ხელი სტაცა იმ გამხმარ თავს,
(სად ჩვენ თორმეტს გვქონდა ბინა)
შეანარცხა გვერდში მგელსა.
მგელიც მთებში მყის გავარდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ეს კბილი სწორეთ მაშინ
ჩამომეტეხა, ჩამომვარდა...
და სხვებსაცა, დიდი მარცხი
მოუვიდათ მაშინ იქა;
ზოგსა ფეხი, ზოგსა მკლავი,
მთლად მოეფშვნენ როგორც ჭიქა.
თუ არ გჯერა თვითონ ნახე. —
გაუშვირა მთისკენ თითი, —
შენი თვალით განიცადე,
საკვირველი მაგალითი.
როსტომმა მას მადლი უძღვნა,
გაემართა მთისკენ ისა...
მართლადაც რომ ნახა თავი
მინდვრათ ეგდო იმ კაცისა,
და ჩავარდა საგონებელს.
სთქვა: ნეტავი მაცოდინა,
რომელ დედას გაუზრდია
და ან არის ნეტავ ვინა?!
დადგა ლოცვად; იტყვის:—ღმერთო
გეეედრები გულ მხურვალე!
ცნობის ფიქრმა გამიტაცა,
შემიწყალე, შემიბრალე!
გააცოცხლე აგი კაცი,
თვალით იყოს ისევ ბრმაო;
ღმერთო, ღმერთო ამისრულე,
შეიწირე ცრემლთა ზღვაო.
და სამი დღის ლოცვის შემდეგ,
ღმერთმა მართლა შეუსმინა;
და ის კაცი, ხორც შესხმული,
დაუყენა როსტომს წინა.
კაცი იყო იმ ზომ დიდი,
ისე ზორბა, და ტანადი,
რომ მხარ-ბეჭთა სიგანივრე
გაწვდებოდა მთიდან მთამდი.
და როსტომი როცა მასთან,
ლაპარაკად ხმასა სწევდა,
იმას სიტყვა მის ყურამდი,
კარგათ ვერც კი მოაწევდა.
შეეეედრა:—გაფიცავ შენს
სახელსა და სალოცავებს;
სათ ხარ აგრე გაძაროული,
ამ მთა კლდეში რა გაკავებს?!
მან მიუგო: მე ვიყავი,
უდიდესი ფალავანი.
არ შობილა ქვეყნად ჯერ ჩემი
ჩემი ფეხის ექნას ძვრანი,
ღონემ ძალა დამატანა,
და უფალსა ვცოდე კიდე,
უთხარ: —რადგან ვერავინ მძლევს,
მოდი და შენ დამეჭიდე.
მან მომიგო: —რა ხელს მოგცემს
რომ ღმერთი შენ დაგეჭიდო?
მე გასწავლი ფალავანსა,
მისი ფეხიც კი ვერ ზიდო.
წადი, იმ მთას წიხლი ჰკარი,
შეუმტვრიე კარებიო.
იქ გამოვა ფალავანი,
მას თუ მიეკარებიო.
მართლაც მიველ შევანგრიე,
არც კი მოვიხმარე ხელნი;
მაგრამ დახე გამოცავდენ
მთის გულიდან დათვ-ენ ქველნი.
დამეხვივნენ ყოველი მხრით,
დამკბინეს და გამახელეს;
სისხლი სწოვეს, ხორცი სჭამეს,
და ამგვარათ დამანელეს.
როსტომი კი ამ სიტყვებმა
დააფიქრეს დაღონეს.
სთქვა: კაცს ჰკვა თუ არა უფლობს
ჭიანქველაც დაიმონებს.
ის განშორდა მოსაუბრეს
და მთა კაციც იქცა ძვლათა;
ამის შემდეგ ჩვენი როსტომ
არ გასულა ფალავნათა.

ირ. ტოლ.ფაძე.

სინათლის შიში

(საახალწლო პაროდიები)

ვიჯექ მაგიდასთან და ვფიქრობდი თუ რა მიმეძღვნა „საახალწლო ნობათათ“ ვეოისციხელთათვის. ამ დროს შემომიტანა ბიჭმა უკანასკნელი № ჟურ. „განათლებისა“. გადავფურცლე და ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცვიფრებას, როდესაც ვკითხულობ პატარა ამბავს ზოსიმელისას „სინათლის შიშს“. ზოსიმელის ჯოტს ჰსურდა მზე თავის დიადის სინათლით მოესპო ბუების სასიხარულოთ, მაგრამ არც ველ ის-

ციხელების ჯოტ ზამბახარიძეს ჰქონდა ცუდი განზრახვა: ეს ჯოტიც ცდილობდა მოესპო რის ვიეიგალახით „აკაკის სახელობაზე“ დაარსებული სამკითხველო ველისციხეში. და როგორც ნამდვილათ ირწმუნებიან: „საკითხველო კვალად იდღეგრძელებსო!“

რაკი საქმე ასეა. ამისათვის სულით და გულით მიულოცავ „ახალწლის დამდეგს“ ველისციხელ ბუებს: ერთი დიდი ჯამფილა სავსე „ლენინოფის ბურაბით“ და ზედვე დიდი ხელჩაფა ფირმოსენის მიერ გამოხდილის არაყით დროს გასატარებლათ.

ღმერთმა შეარგოთ!

—

ველისციხე. ტელეფონით ატყობინებენ ჩვენს „ახალ აგენტს“: მართალია ჩვენმა გაუმაძღარ ვაჭრებმა საახალწლოთ თაფლი გირვანქი 1 მ. 20 კ. გახადეს და კაკლის ნიგოზი უფრო ზედმეტ ძვირათ, მაგრამ მათ მეტოქე და სახელოვან მოვაჭრე ვალარშაკას თურმე თგირანიდან ჩუმათ მოუტანია ერთი ვაგონი თაფლი (ნამდვილი შირბახტი) და ორი ვაგონი ნიგოზი. ველისციხელები ალტაკცებაში არიან რო ვალარშაკა თაფლს გირვანქას თერთმეტ შაურათ და ნიგოზს ხუთ შაურათ ჰყიდის.

—

იქიდანვე. ამავე სახელ განთქმულ მოვაჭრეს საიდუმლოთ განუზრახავს თურმე, — როგორც მის მეგობრებს დანამდვილებით შეუტყვიათ, რომ თავისივე გამოგონილ-გაკეთებულის ჰეროპლანით გაფრინდეს ადგილობრივ ვაჭრებისაკენ გაღეგბლათ ბალაჯარაში და ჩუმათვე იქიდან „ახალწლისათვის“ საჭირო ხილეულობა: ქალაზბადაბი, ალვა, ბატიბუტი, ჭინჭერი, ნუყულ-კამფეტი, ინა, აღჯნაბადი, ფსტა, ლიმონი და აპელსინი აუარებელი და ამავე, ველისციხელ, მოვაჭრეების ჯიბრზე გაჰყიდოს გირვანქა 70% ნაკლებ, როგორც სხვანი გაჰყიდიან და მოატყუებენ საბრალო გლეხებს.

—

ტელეფონითვე ერთს სამაგალითო ამბავს ატყობინებენ ისევ ჩვენ „ახალ აგენტს“ ამ ამბავს თუმცა ვბეკდავ სხვათა საყურადღებოთ, მაგრამ ასე თუ ისე ჩვენც ცოტა ეშვში ვართ.

ამ ორიოდ დღეში ველისციხის მოვაჭრეთა შორის ცნობილ მოვაჭრე ეშმაკ-გეოს მეთაურობით შესდგა ახალი **სინდიკატი**. სინდიკატის დედა აზრი არის ამ საახალწლოთ დაიჭირონ ლარიბ-ლატაკს, ქვრივ-ობლებს და უმეტესათ იმ ოჯახში დარჩენილთ, რომელთა მარჩენალნი-მასაზრდოებელნი დღეს ბრძოლის ველზე არიან გაწვეულნი. სინდიკატის წევრთ მტკიცეთ გადაუწყვეტიათ გამოიღონ თვისი წვლილი ისე, ვისაც რაშდენი შეუძლიან და არა ერთმანეთის ძალ დატანებით.

მოგვყავს აქვე სია ქველმოქმედთა სხვათა მისაბაძათ.

1) „სინდიკატის“ მეთაური ეშმაკ-გეო სწირავს: ბროდსკის ქარხნის დიდრონ თავ შაქრებს საზოგადოებას და ამდენსავე თითო ვირვანქიან პაპოვის ჩაის, რამდენიც დასჭირდება საზოგადოებას მისალოცათ.

2) დიდიხნის მოვაჭრე კ. ო—ვი თავის ჯველების სადღეგრძელოთ, ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის 30 ფუთს ქიშმიშსა და ლაბლაბოს.

3) ასეთივე მოვაჭრე ე. ი—ვი თხუთმეტ მეშოკ სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ მჭადს, ქვრივ-ობლებისათვის.

4) მოვაჭრე „ზუზალია“, თორმეტ ფუთ დამდნარ სნეულ ღორების ქონს ღარიბთათვის, რათა დრო გამოშვებით მაინც გაიკეთონ სიმინდის ფაფა.

5) მოვაჭრე შ. ჯ—ნი ათ ფუთ ყინულ შაქარს ქვრივ-ობლებისათვის შიმშილით ამომხმარ ყველის მოსალობათ.

6) სახელოვანი მოვაჭრე ს. ვ—ვი 30 ტომარა სიმინდის ფქვილს დაერდმილთათვის ფაფუკი ლავაშების გამოსაცხობათ.

7) ცნობილი მეშანკე მორდეხა, სამ ბოკეა წითელ ღვინოს თბილ ლავაშებზე დასალევათ.

8) ახალჩეკილი ყასაბი მოსე: სამოც და ცამეტ მსუქან თხას ღარიბთათვის მხოლოდ ტყავი და ბალანი თავისივე უნდა იყოს.

9) ადგილობრივი მცხოვრები სარაჯ გიგა: ოთხას დიდრონ გოგრას უმწეოთათვის, რათა „საახალწლოთ“ ბოზბაშეი მოიფიშნონ.

10) ამისივე მეზობელი საქ. გაბ—ლი: ხუთ დიდს ბოკეა წიწაკის წნილს „ახალწლის“ საღამოს ყელის ჩასაკოკლოზინებლათ.

11) ადგილობრივი პროვიზორი: 159 უნცია ვალერიანის კაპლს, რათა დამშეული უპატრონო ობლები ღონეზე მოვიდენ, და 19 უნცია ასპირინს, რომ ამ სიცივეში ოფლში იყენენ.

12) არაყის მეზაოდე ლევან ს—შვილი: სამოც ვედრა არაყის საიას, ყოველ ღარიბითათვის, რომ დილა-საღამოთი თითო ჩაის სტაქანი გადაჭრან და ამითი ჯანზე მოვიდენ.

რომ უწესობა არ მოხდეს, განმანაწილებელი კომისიაც ამოურჩევია ეშმაკ-გეოს. კომისიაში შედიან: გ. გ. გალანოვი, ა. ჭილიპამქარია და ვ. ლეგორინეცი; მათს კანდიდატებათ: კაპლო, ლოდრო, ძმანია და მამადოვი.

მხოლოდ ზედამხედველ უფროსათ: ი. ზეგნის ღმერთი და მისთანაშემწეთ ცნობილი ბეჟანი.

დანარჩენ მოვაპრეთ: ზ. მ—ვმა, ქ. ბ—ვმა, კ. ა—მა და სხვებმა ამ სინდიკატში მონაწილეობის მიღებაზე სრული უარი განაცხადეს: თუ ყველანი ასეთს სიუხვეს გამოვიჩენთ, შესაძლებელია ჩვენი ღარიბ-ლატაკები „გავრყვნათ“ (?!?) და იქნება შემდეგ ვენახებში აღარც კი გვიშველონ იაფადაო.

ნამდვილთან სწორია **ახალი აბელეტი.**

საერთო საქმის მოყვარული

(გუძღვნი მოაგარ ხახელისნოს ზოგიერთ მუშებს)

(პატარა სცენა)

სბორელი. ღმერთს გეფიცები თქვენ ნამდვილი „ინდუშკები“ ხართ. კაცო, ჩვენ ყოველ დღე ვგროვდებით და ემსჯელობთ: ხან კარტოშკაზე, ხან კაპუსტაზე, ხახვზე, ოხრახუშზე და ხანაც კიდევ აკორტებზე...

კატელჩიკი. (აწყვეტინებს) ვაჰ, კაცო... შერცხვენილი ვიყო, შენ რო მოკვეტები თუ აკორტთ არ გიტირო. ეს ოხერი დღე და ღამე მუშაობით ისეა გამხმარ-გაშავებული, რომ ქუჩაში თუ სანიტარნი კომისიამ დაინახოს, ხოლერა ეგონება, ცეცხლში დაწვავს და კიდევ აკორდს მისტირის. შე მუდრეგო, რაკი ფული ეგრე გაყვარებია, ლოთიანთ ერთი (ყელზე წკიპურტს გაიკრავს) ჩაგვაცეცხლე და ისეთ ეულიკობას გასწავლი, რომ ერთ თვეში ხუთ-ხუთიანის იაშჩიკი გახთე.

სტალიარი. კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს, შენც ფუთიანებისა ნუ აგვკიდე ხოლმე.

კატელჩიკი. ვინა? (ლოყაზე ხელს გაირტყამს) ჩემი სიმე მოკვეტეს, თუ გატყუელებდეთ. შე ოხერო ამ თვეში სულ ოცი ბუთილკა გამიყიდნია!

ტოკარი. რაი ბოშო? ღვინო?

კატელჩიკი. ღვინო კი რაა ოტკაზეკეტო. გალმიდან გამოვიტან ერთი ბუთილკა სპირტსა, ჩავურევ სამ ვედრა წყალში, მოვაყრი წიწაკას და ისე გავხდი, რომ ვინც დალიოს სულ აბრაამ აძახოს.

ტოკარი. კი მარა ნახალოვკაში კაცო თითო ოკაზეზე თითო სტალავო-სამიკიტნო მოდის და შენ სად ყიდი კაცო?

კატელჩიკი. ჩემ ცეხში შვილოსა, დილით თითქის მესამედი ცეხი შოშიასეეფ პირ დაღებული მიცდის.

ლიტეიჩიკი. ვერაფერი ხელობაა მე და ჩემი ღმერთმა! ერთხელ იქნება: გაგგაგეს ვინმე და საპოგგების რეზინებიდან აყოლობული კაკარტებამდის უნდა გამოაწყო. აი მესმის ჩემი ხელობა არც ქრთამი უნდა და არც წიწაქა. პალუჩკა დღეს ერთ მსუქან ჯამაგირიან ამხანაგს წვაიყვან ოთახში, ჩაუკეტავ კარებს, გამოვკრავ თითს ბაქარას და ისე გაეგბან, რომ მეორე დღეს სემიჩის დავერიას დაეძებდეს.

სტალიარი. თამაშს თუ იკითხავთ ჩემსეეფ ვერცერთი ვერ თამაშობთ. აეიღებთ პალუჩკას თუ არა, ხარფუნის კლუბს ვეწვევი. ამოუჯდები რომელიმე ზორბა ჩიხტოსანს, და ვურევ ლოტოს ლოგბიოში ხელებს. მერე რა კარგი საყურებელია როცა აეიდანიეს აკეთებს და ეს. 42 სანტიმეტრიანი ქალი კუდაბზიკურა ჩიტივით ცმუკავს სკამზე. ხუმრობა იქით იყოს და...

სბორელი. ჩუმათ... ნაჩალნიკი მოდის... დაიშალენით.

ქამია.

მიხსენება

ჯიათურა.

(ჯიათურის „ჩამწერლებს“)

თუ რომ წინათ თქვენსკენ ვიყავ
გადმოტეხილი,
შიმშილისგან დაკვანძული,
როგორც გრეხილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კი, უკან, ჩემსკენა ვარ
გადაზნექილი
ისე, როგორც ქუთათური
„ერთი ვეკილი.“
ჯერ, რა ომი გამოცხადდა,
დამატყდა მეხი,
ადგილიდან ვერ დავძარი
ვერც ერთი ფეხი.
ბანვლო შემდეგ წელიწადმა,
ნახევარიცა,
მაგრამ მუდამ უიმედოთ
დამყურებდა ცა:
აღარც პური, აღარც ხორცი
და არც ლობიო,
ჩემი ტურფაც შემეზიზღა,
როგორც გომბიო.
ამას ზედვე თან დაერთო
„ომის—ზაცია,“
სულ ერთ თავათ მოითხოვდს
მთელი ნაცია,
რომ რითიმე მანუგეშოს
არ მყავს კაცია,
პირი პირზე, გადავკიდეთ—
მე და გრაცია.
და თუ კაცი აღარ არის
მთლათ განწირული,
ერთხელ მაინც ბედი დაჰყეფს
მასზედ სვირული!.
გამოცხადდა, რომ სამხედრო
მიზნისათვისა,
საპიროა მუშა გვყავდეს,
იმისათვისა;

ჩემს სიხარულს აღარ ჰქონდა,
ვფიცავ, საზღვარი,
ვსთქვი:— აღმიდგა ნეტარების
უძლევი ჯვარი;
ჯარში აღარ გაგვიწვევენ,
დამრჩა დუნია,
აწი მაინც არ ვიქნები
დასაწუნია.

ყველგან კარებს გაბრდღვნიან
მისაწვევათა,
და სამსახურსაც ვიშოვი,
პირთ საძლეევათა.
მაგრამ დახე! ოდეს მოდის,
მოდის სრულათა,
ლომის მთელათ გადავიქცე
ოქროთ, ფულათა!
გუშინ მონა, უიმედო,
სხვისი შემყურე,
დღესა თითქმის მაღლა ვდგევარ,
ვინემ მეპურე.
მოდის, მოდის, ხალხი.
ითხოვეს: „ჩამწერე“,
მოდი და უარი უთხარი,
ხომ გადიმტერე?!
ქვასებს აღარ მაჯერებენ,
მრჩიან ათასები,
ნეტავი ამოდენ მათ ამაგს
რა დააფასებს.
მეც ვსწერ, ვიღებ, ვსწერ და ვიღებ
ეჰ დავიღალე!
ფული ისე ოხრათ მოდის,
ვერც დავითვალე.
მუშა, რომელს ეკუთვნოდა
წარდგენა რიგით,
ის დავტოვე, ფულის ხათრით:
ვისროლე დინგით.
და იმ ადგილს, სადაც ოფლს ღვრის
მოსიაშვილი,
„პრივილეგიას“ ღებულობს
შოშიაშვილი...
დღე და ღამე კლუბში ვდგევარ,
— გვერდზე ქალები,
გასაკვირალი იგია რომ
არ ვიღალეს?!
ამას ზედვე დაუმატეთ
რესტორანები,
ქუთაის და თფილისშიაც,
რომ ვიპარები...
— ნამდვილ უნდა მოძრაობდეს
ტანში ქარები
ან და თავში ზურნა მყავდეს,
ზედ მეთარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ სანამდის გამყვება
მზგავსი წუთები
და გაუძლებს ამდენს შრომას
ჩემი კუნთები!
და შემრჩება, თუ სიმწარეს
ვიგემებ ბოლოს,
ნეტავი რასა მიმზადებს,
რა მოაქვს ბოლოხს!
თუ გინდა ბოლოს დავავიწყდე
და შემრჩეს აგი,
ვაი დედაო, როგორ მტანჯავს
„მუშის ამაგი“!
კაცი, იგი არ დაივიწყებს
და მოთხოვს დროზე,
ნეტავი არცა ვიქნებოდე
მე იმდროს გონზე.
მაგრამ რაც უნდა მომივიდეს,
მიყვარს ფუოები,
მაშინ რისთვის არ შემიცოდეთ,
დღეს მებღურები,
როს ორივ სახლში ყველანი ერთად
მოკუნტულები.
და სამოსელში ბინადრობდნენ
უცხო მდგმურები?!!

სატანა.

ღია წერილი

ბ. შავერდოვს.

ბ. შავერდოვ! „ეშმაკის მათრახის“ ერთ-ერთ წარსულ ნომერში თქვენ რედაქციას ჩემს ვინაობას ეკითხებოდით, რათა საშუალება მოგცემოდათ რომ ოფიციალურ სასამართლოში გეჩივლათ ჩემთვის. კეთილი და პატიოსანი. მე ავასრულებ თქვენს თხოვნას, მხოლოდ თქვენ რომ გსურთ იმ სახით კი ვერა. მე არ მსურს რომ ჩემი ფსევდონიმი საქვეყნოდ გამოვამეღავნო და თუ თქვენ ძალიან გულით გინდათ ჩემი დასჯა, შეგიძლიანთ შეეკითხოთ ჰიათურაში ბ. აკაკი ქუთაულაძეს. ის გეტყვით ჩემს სახელს გვარს და აგრეთვე სხვა ჩემს პირობებსა და განზრახულებასაც.

პატივისცემით **გოგია.**

თფილისის საავადმყოფოებში



ნორმალური ტემპერატურა.

რედაქტორ-გამომც. **თ. ბოლქვაძე.** ნებადართულია სამხ.-ცენზორისაგან. სტამბა ვ. ოუხაძისა, გამაევის შესახვ., № 1